

გუჩა კვარაცხელია

პოსტმოდერნისტული პროზის სტილისტიკური ექსტრემიზმის შესახებ

გურამ დოჩანაშვილი ისეთი მწერალია, რომელიც არავის ჰგავს და რომელსაც ვერავინ დაემსგავსება. ის იმდენად ავთენტიკურია, რომ თავისივე პირველწყარო თავად არის. ამიტომ მიმდევრები ვერ ეყოლება (ეპიზოდური ეპიგონები მხედველობაში მისაღები არ არიან) და ვერც სკოლას შექმნის, ძალიან გაჭირდება მიმდინარეობათა კლასიფიკაციაში მისი ჩასმა, რადგან უპრეცედენტოა ქართულ სინამდვილეში იმ ზომის სტილისტიკური ექსტრემიზმი, რომელიც დოჩანაშვილის ავტონომიურ ენობრივ კონსტრუქციაში ვლინდება.

ზოგადად მოდერნიზმის ჩარჩოებში მოიაზრება ავანგარდიც, დადაიზმიც, კუბოფუტურიზმიც, სიურრეალიზმიცა და პოსტმოდერნიზმიც, მაგრამ ეს ზედაპირული შთაბეჭდილებაა. ყველა ამ მიმდინარეობის საერთო ტენდენციას წარმოადგენს კლასიკური რეალიზმის მხატვრული ენის რადიკალური განახლების სურვილი. მოდერნისტების (ელიოტი, უნგარეტი ...) აზრით, ამის აუცილებლობა შექმნა იდეათა კრიზისის შეგრძნებამ, იმის შეგრძნებამ, რომ ამოიწურა მხატვრული შესაძლებლობები, რომლებიც კლასიკური რეალიზმის ხელოვნებაში განხორციელდა. კრეატიული კრიზისის განცდამ ზოგადი განწყობა გააჩინა, რომ დასრულდა კულტურაში გარკვეული ეპოქა, რომელშიც ჰუმანისტური დოქტრინა ბატონობდა, რომ ახლა იქმნება ფილოსოფიურ-ესთეტიკურ იდეათა ახალი სისტემა, რომელიც იქმნება ჰუმანიზმის განუკითხავი კრიტიკით, საბოლოო უარის თქმით გრძნობათა გამოხატვაზე.

გურამ დოჩანაშვილს ჩვენს სინამდვილეში სრულიად განსხვავებული პოზიცია უკავია, შეიძლება ითქვას, კონტრპოზიცია, სხვა პოსტმოდერნისტებთან შედარებით. მისი პროზა თანამდგომი, კაცთმოყვარული პროზაა, ღვთისა და ადამიანის სიყვარულით გამთბარი.

დასახელებულ მიმდინარეობათა ცენტრალური პრაქტიკაა კულტურის გაზიარება, საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობა-

თა გაბათილება, დაცინვა, წარსულის ხელოვნების მოღვაწეთა და თვით ხელოვნების დესაკრალიზაცია – გავიხსენოთ მარსელ დიუმანის მიერ ჯოკონდას რეპროდუქციაზე მიხატული უღვაში, საგამოფენოდ გამოდგმული პისუარი და სხვ. ანდრე ბრეტონის ჯგუფის ჟურნალი „ლიტერატურა“, რომლის დასახელებაც გაიაზრებოდა როგორც ტრადიციული მწერლობის დაცინვა.

გურამ დოჩანაშვილის პროზაში ვერ შევხვდებით აქცენტთა იმგვარ ინვერსიას, რომ ის, რაც მოწიწებასა და პატივისცემას იმსახურებს, გამასხრებელი და შეურაცხყოფილი იყოს.

არსებითი განსხვავება, ჩვენი აზრით, ერთ მნიშვნელოვან გარემოებაშიც არის: აღნიშნული სახის ლიტერატურაში მთავარ მხატვრულ ხერხად გამოიყენება მეტაფორა, მაგრამ ამ მეტაფორით ფსევდონიმიზება ხდება საგნებისა, ადამიანებისა, განცდებისა, ისინი სქემატური და სულიერი შინაარსისაგან დაცლილია. გურამ დოჩანაშვილი კი ფართოდ და ღრმად იცნობს ერის ყოველდღიურობას, მას სანდო კულტურული მეხსიერება აქვს და თავის ტექსტებსაც ასე ქმნის.

აქვე უნდა შევეხოთ მხატვრული დამაჯერებლობის საკითხს. მოდერნისტულ პარადიგმაში, სადაც შეგნებულად და მიზანმიმართულად ირღვევა მიმეტური რეფერენციულობის პრინციპი, აინტერესებთ არა სინამდვილის დამაჯერებლად ასახვა, არამედ ცხოვრებისეული რაკურსები და დონეები. უკიდეგანოდ ლაღსა და მხიარულ თხრობაში, მიუხედავად ბევრი, ენობრივ უცნაურობაზე დამყარებული, უჩვეულობისა, მკითხველს თითქოს არადამაჯერებლად არაფერი ეჩვენება.

გვინდა აღვნიშნოთ, ამ „უკიდეგანოდ ლაღ“ თხრობას, რომელსაც თავისი სინტაქსური შესაბამისობა და ტექსტის ბმის საკუთარი კანონზომიერებები აქვს, ზოგჯერ ცნობიერების ნაკადიც კი უწოდეს.

როგორც ცნობილია, „ავტომატური წერა“, რომელიც სიურრეალიზმის პრაქტიკაშია დამკვიდრებული, ტექსტზე სრულ უკონტროლობას ნიშნავს, როცა საგანგებოდ, მიზანდასახულად არის მოშლილი ცნობიერი კონტროლი. გურამ დოჩანაშვილის გონება ყოველთვის ძალიან ფხიზელია და როცა წერს, ყურადღების მიღმა არ რჩება უმნიშვნელო დეტალიც კი, რომლის გამოყენება შეიძლება სტილისტიკური ექსტრემიზმის სასარგებლოდ.

ამ თვალსაზრისით გამორჩეულია მოთხრობა „მერომელიდაცე მიხეილ, და სხვანიც კიდევ ორ-ორნი“. ავტორის ლინგვისტური თუ კვაზილინგვისტური რეფლექსიები, რომლებიც მხატვრული ტექსტის ორგანული ნაწილია, მეტწილად ქართული მეტყველების კულტურის საკითხებს ეხება. პრობლემათა სფერო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია.

განმარტებას მოითხოვს მოთხრობის სათაური, კერძოდ, ვინ არიან „სხვანიც კიდევ ორ-ორნი“? ამის შესახებ ავტორი მოთხრობის დასასრულისკენ მსჯელობს, როცა იგი იწყებს თავისი შრომის, ასე ვთქვათ შეჯამებას: „ეს რა გამოვიდა, აბა ეს რა შინაარსია – დაადო თავი და წავიდა ერთი მერომელიდაცე მიხეილ ისეთ სოფელში, სულ რომ არაფერი, საბოლოოდ სოფლის სახელიც კი არ იცოდა მისი და თან წაიყოლა თავისი ორნი და კიდევ ჩვენ ორნი, მაგრამ ეს თვითონ მოინდომა თავად ასე და მე რა ვქნა, ჩემი საქმე ხომ აკი მხოლოდდა გადაწერა, თუმც ალაგ-ალაგ ჩემითაც ვხტნოდი, ვერ დავფარავ და, აგვიყოლია, ოთხივენი შეგვიყოლია ...“ [159]*. მიხეილის ორნი არიან დევდარი და კონსტანტინე, მოთხრობის პერსონაჟები, ხოლო ჩვენ ორნი – ეს ავტორი და მკითხველია. ამრიგად, სათაური გულისხმობს ხუთ პერსონაჟს: მიხეილს, დევდარს, კონსტანტინეს, ავტორსა და მკითხველს. თუმცა ეს უკანასკნელი მოთხრობის დასაწყისში, სადაც საგანგებოდაა ჩამოთვლილი „ამბის მოქმედი დევ-გმირები“, ნახსენები არ არის.

ავტორი, როგორც პერსონაჟი, ყოველ ნაბიჯზე გვახსენებს თავს თავისი კომენტარებითა და რეფლექსიებით. ისევე ითრევს აქტიურად მკითხველს თხრობაში, როცა შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ჩემო მოწყალეო და ძალიან გონიერო მკითხველო“ [3], „ჩემო მოწყალეო, კარგო და ძვირფასად მშვენიერო მკითხველო“ [4], „შირაზის ვარდო“, „ნაზო, ლამაზო, და გავაზო მკითხველო“ [8], „ჩემო გულით კეთილო და აზრით ბრძენო, მრავალკუთხოვანსვე-ბედებზე დიახაც განსჯით დაფიქრებულო, მინდვრის ჭკვიანო გვირილაო, ხეო კედარის“, „ორთავ თვალის სინათლე“ [17], „ყოვლისდამშვებო მკითხველო“ [30], „დავსჩუმდეთ მოწყალეო მკითხველო, ვარდისფერო, ტირიფის იავ, ლომოვ წინანდლის“ [33], „აუღელვებელო, უძამა-

* საილუსტრაციო მაგალითები მოყვანილია წიგნიდან – გ. დოჩანაშვილი, „მერომელიდაცე მიხეილ, და სხვანიც კიდევ ორ-ორნი“, თბილისი, 1997.

ცესო, უდაკვირვებულესო, წმინდაო და დაბანილო, ცნობისწადილი-ანო, თქვე უბედურ მოთხრობაზედ გაჩენილო“ და სხვა მრავალი.

ენობრივ საკითხებსაც ავტორი უმეტესად მკითხველთან არ-კვევს: „ნუთუ არ მოგენატრათ გრძელი, ტევადად დახუნძლული წი-ნადადებები, რთულ რამერუმეების დასაპყრობად ღირსეულად გან-მზადებულ მოწყალეო მკითხველო?“ [47]; „ხომ მივაღწიეთ, შე-ცდომათაგან ფაქიზად დაზღვეულო, უფაქიზესო მკითხველო, მო-კლე-მოკლე წინადადებებს?“ [37]; „მოწყალეო, შესანიშნავო და და-მლელეო და კარგო მკითხველო, თქვენს გამო იძულებული ვარ, რომ ასე გრძლადაც ვილაპარაკო უშუალოურად და გრამატიკის მო-მთხოვნ ყულფებში გავყოთ თავი, თქვენ მაინც რა დააშავეთ თქვენი-თაც კი რომ წამდაუწუმ რომა სარგებლობს გრამატიკა, რა დააშავეთ და, ნუთუ არ მოგენატრათ მოკლე-მოკლე ლაპარაკები?“. ციტატა გრძელდება საინტერესო დაკვირვებით: „ადვილია შედარებით ის, რადგან გრამატიკა მოკლე-მოკლე წინადადებებსა თუ ლაპარაკებში გრამატიკა ვერაა მძლე და ჰერკულესური“ [36]. „აბა თუ იპოვნით გრამატიკულ შეცდომას ზემომოყვანილ სამ წინადადებაში, მოწყა-ლეო მკითხველო? თქვენ რომ წამდაუწუმ მამოწმებთ, ის ხომ კარგია, მოწყალეო მკითხველო, ჩვენც კი ვართ ცოტა ფილოლოგი“ [8].

როგორც ვხედავთ, ავტორი მკითხველის მოთვალთვალე მზე-რას გრძნობს და თვითონ უბოდიშებს: „ვუხ გრამატიკავ, ვერ ავაწყვე დალაგებულად რაღაც, წინადადებები ...“ [30]. „ამ უკანასკნელებში (იგულისხმება გრძელ-გრძელ წინადადებებში) უფრო მძაფრდება გრამატიკა და შეცდომებისაგან დაზღვეულნი რაკი არავინა ვართ, მეც შემინდეთ“ [31]. საერთოდ, მწერალი გრამატიკას ხშირად მიმარ-თავს: „ის ერთი სიტყვა ... ორ ნაცნობ სიტყვას უდრიდა მისთვის, რა ხარ გრამატიკა? თუმცა შენ, გრამატიკავ, ორი კი არა, უთვალავი ხარ, ერთზე ვერაა, ვერ ლამაზი“ [42]. „ნეტა მამაცი „მამა“-დან მოდის? ოჰ, გრამატიკავ, განათლებულო დიდად კია, მაგრამ ცოტათი ბორკი-ლოვ, ხუნდოვც, ვეჰ, გრამატიკავ, რასაა რომ რა იყო რომ რას გადამე-კიდე რომ გადამეკიდე რომ იქამდე რომ (ბოლო რომ ხსწორია), აი, ასე მანატრებინებ (თუ, მანატრებ?) კიდევ იმას, რომე, რომ, მოკლედ, ძალიან მომინდაუ, ერთი შენი თავი მამცა დაახლოებით შუალამისას რომელიმე სადღაცა სოფლის სანახებს გარეთ და მე კი შენზე ბევრად ღონიერი ვიყო ... სიჩუმეთი [სიჩუმეს აღნიშნავს ბრჭყალებში ჩასმუ-ლი წერტილით] ანუ (ჩემი სიტყვაა, მხარშიმდგომი იქაც მეყოლება,

და „-სთან ერთად, უხმოვნებოდ, ცხვირ-პირში გირტყამ ანუ გრტყმ), ანუ სიჩუმეთი ვიყო მე შენზე ღონიერი, და შენ კი ჩემი და-ჰჩუმებისა ანუ (არ მომწყინდები) გრამატ-ული უშეცდომობის გამო არც ბასრი იარაღი გექნება და არც არაფერი, და მაშინ ვნახავდით, ვინ ვის აჯობებდა და გააწვალებდა, ვნახავდით კარგად რომელი ერთი ვიქნებოდით ჩვენ-ჩვენში მაშვინ გრამატიკა ...“ [36].

ავტორი იმაზე ოცნებობს: „ჩემთვის ისეთი რამ წინადადება გამომააგონინა (ნინა-ნინა, ჩემო ნინა ... რა შუაშია, ვეჰ?), სულაც არ ერიოს მთელ წინადადებაში ასო, ვიქნებოდი გულდინჯი და ნეიტრალური, ანუ (აქ შეიძლება „ანუ“) არავისკენა, და ეს იქნებოდა ... აუხდენელი ოცნება ჩემი, ვაი რა კარგი იქნებოდა, სულ რომ არაფერი, მაშინ ჩემს გრამატიკას ძალიც ვერ დაჰყევდა, გამარჯვებული შევიქმნებოდი ვითარცა პიროსი, ვიღაცაც იყო, გამარჯვებებში, ამ გვარისა თუ სახელისა, მაგრამ მე საჭირო და მოხდენილ წინადადებას ვგულისხმობ უასოიანში, თორემ ისე, რამდენიც გინდა იმდენია ქვეყანაზე (თუ ქვეყანაზე-დ? ქვეყნად? ქვეყანაში?) ეეჰ ... – წინადადება (ეს სიტყვა სწორეა!)“ [31].

„ეეჰ, სხვათა არ ვიცი და, უცნაურია ეს ჩვენი ქართველების გრამატიკა, ხანდახან მოიცავს წინააღმდეგობრივ ბუნდოვანებებს“, – ამ დასკვნას აკეთებს ავტორი შემდეგი მსჯელობის მომდევნოდ: „ისე უბრალოთ კი არ ვაფრენთ მერცხლებივითა (ვის? თუ ვინ? ეს, როგორ, ორსავე შემთხვევაში, ჩვენაცა და მერცხლებიც ვაფრენთ?! ანდა, მთლად უარესი, ორთავე მხარე – ერთად?! ...“ [177]. სხვაგან იგი წერს: „სჭირდება ხანდახან თვით გრამატიკასაც ახსნა, მარტო იგი კი არ ხსნის ყოველს“ [42].

„რომელ ერთს არ გვაწუხებს გრამატიკაო“ [15], აცხადებს ავტორი, რომელიც ყველა საორჭოფო ენობრივ საკითხს გრამატიკულს უწოდებს, თუმცა გრძნობს, რომ ზოგ შემთხვევაში გრამატიკა არაფერ შუაშია: „მიხეილმა და სხვამაც კიდე ორმა, გულთა რეჟიხი ჰყვეს, უცნაურია გრამატიკა, რა შუაშია თუმცა აქ გრამატიკა?“ [72]. „მესამედ ორასეულამდე მგზავრი შექუჩებულებიყო (უფრო სწორად, შესალონებულებიყო, რადგან ქუჩაში კი არა, სალონში იყვნენ, ოხ, გრამატიკაც ... თუმც რა შუაშია?!“ [12]. „ბოჰკა რუსული არ გეგონოთ „ჰ“ ურევია, არ გეგონოთ რომ, მშიერზე რომ ვწერ, გრამატიკა გადამავიწყდა, როგორც ძველები იტყოდნენ, აკი მთავარი ხომ ადამიანობაა, და ადამიანობაშივე არ შედის გრამატიკა?“ [78].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტორის „ლინგვისტური თუ კვა-ზილინგვისტური რეფლექსიები“ მეტწილად ქართული მეტყველების კულტურას ეხება. საკითხთა სფერო მოიცავს ფონეტიკის, მორფოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის იმ უბნებს, რომელთა შორის უმრავლესობა სხვადასხვა დროს ენათმეცნიერთა ყურადღებას იქცევდა ნორმალიზაციის თვალსაზრისით. მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუშს –

ა) პირის ნიშანთა ხმარებასთან დაკავშირებით:

„(კონსტანტინე) ალტის ბუდესა ჰხურავდა (ნეტა აქაც საჭიროა ჰაე?)“ [17].

„სულაც არა ს-ჩანს კი არა, არ ჩანს არც ერთი და არც მეორე“ [22].

ბ) თემის ნიშანთან დაკავშირებით:

„მჯერავს იპოვნით დროს (მჯერავს თუ მჯერა? ნაკარუსლარი ვეღარ ვისვენებ მე)“.

გ) ფუძედრეკად ზმნის ფორმებთან დაკავშირებით:

„ყურს ნუ დაცქვიტავთ, ვაიმე და-ცქ-ვეტო-მეთქი“ [58].

დ) კაუზატივის ფორმებთან დაკავშირებით:

„აი, ასე მანატრებინებ (თუ, მანატრებ?)“ [36].

ე) ორმაგ უარყოფასთან დაკავშირებით:

„არავის არ ვათქმევინებ“-ში „არ ზედმეტია“, ასე გაიფიქრა აქ უკვე გრამატიკაგადაბრუნებულმა მყის გამოფხიზლებულმა დევდარმა“ [139].

„ამას ვერავინ ვერ წაგვართმევს“ („ვერ“ ზედმეტია)“.

მრავალფეროვანია სტილისტიკური საკითხები, რომლებიც წამოჭრილია ტექსტში. კალკებს ეხება, მაგალითად, შემდეგი მსჯელობა: „ფსიქოლოგიური გეომეტრიის განმსვლელოური პრიზმით (თუ პრიზმაში?). მოძრაობდა ოთხზე (თუ ოთხით?)“ [80].

მწერლის მხრივ განსაკუთრებულ ირონიზებას იწვევს -ში და -ზე თანდებულების ურთიერთჩანაცვლების საკითხი: „ავტობუსზე კი არა ავტობუსში ზის“ [75]; „ნეტავი რაზე (თუ რაში?) გამახსენდა“ [136]; „შენ სიტყვას კულისებში ნუ მიგდებ! (თუ კულისებზე? ...)“ [25]; „იქვე, რაღაცა კილომეტრში (თუ კილომეტრზე!?) საბურავდაშვებული ავტობუსი გაჩერებულიყო“ [20]; „ვინ იდგა იქ და, ყველაზე ცხელ წერტილში (თუ წერტილზე? წერტილს? წერტილად?) ხომ კი ხვდებით, ჩემო გონებამახვილო მკითხველო?“ [13]. „რამდენიც გინდა იმდენია ქვეყანაზე (თუ ქვეყანაზე-დ? ქვეყანად? ქვეყანაში?)“ [31]. „ამი-

ტომაც არაფერი ყრია მასში (თუ მასზე?)“; „ხოლო ღამის სანახებში სიჩუმე მაშინ დაირღვა, როცა მიხეილმა თქვა:

– წამოდი, დევდარ, და ღამის ბნელ მაგრამ სუფთა ჰაერზე გავიაროთ...

– რათა ...

– სასარგებლოა ძილის წინ.

– ჰაერზე შენ ვერ გაიარო ...

– რატომ

– რატომ და, ჰაერზე ვერ დადიან. არამედ ჰაერში.

– ოჰ, შენ რა გითხარი ... ეს რა ხარ, რა ჰხარ, ფილოლოგები ... წამო, წავიდეთ [61].

„მე როგორღა გამოვთქვა, ზასულიჩის ქუჩაზე, ესე იგი ზასულიჩზე დავდიოდი, თუ ზასულიჩში?“ [133]; „და მაშინ ის როგორღა იყო, ჩემი მეზობელ გოგის ნათესავი რომ შეუჭამიათ სადღაც სოფელში ტყეში? (აქ – ნაღდად „ტყეში“ და არა „ტყეზე“, აჰ, გრამატიკავ, ფურცლის ყვავილო)“ [17].

პერსონაჟებს შორის კამათი სიტყვის შერჩევაზეც ხდება:

„– როგორ შეიძლება, რომ მგელმა ადამიანი შეჭამოს ისე, რომ არ ერჩოლოს!!?“

– როგორ თუ ერჩოლოს, – ჩაერია ცალმხრივად აღელვებულ კამათში დევდარ, – ერჩოლოს ამ შემთხვევაში რა გამოთქმავა, ხარი კი არ არის, სიტყვიდან – რჩოლა“ [18].

„– ამ დროს რა უნდა მამიდას სახლში, დევდარი-ჩემო ...

– სახლში კი არა, შინ! სახლი ზოგადია! – სთქვა და, ცოტათი შეწყნარდა, დევდარი, მალამოდაც კი ხართ ხანდახან, ეს შენ, გრამატიკავ. მრავალსახოვანო“ [43].

შედარებით ვრცლად მსჯელობს ავტორი რუსულიდან ადამიანთა საკუთარი სახელების გადმოტანაზე: „აი, მე რომ ვახსენებ ტურგენევი ივან, სწორა ვიქცევი ძალიან, რადგან ძალიანბერი სხვა, არამცთუ ამბობენ, არამედ სწერენ, ბეჭდავენ და ასე კითხულობენ კიდეც – ივან-ე, ტურგენევი ივანეო, მაშ. კაცო, ეე, ბოდიში, მოწყალო კაცო, თუ ქალო, კაცო, ჩვენ ეს რუსების არ მოგვწონს (რომა – რომ, ნაპოლი – ნეაპოლ, მტკვარი – კურა და სხვ.) და ჩვენ რატომ ვიცით სხვების სახელების დამახინჯება? რატომ ივან-ე, როცა ივან (ვანია) ერქვა კაცს? აბა და, ჩვენ როგორ გაგვეხარდება, ბარათაშვილზე, ნიკალაი რომ დაგვიწერონ, ხომ ავტეხთ ამბავს? ასეა ასე, კი გადმო-

ვიდეთ ჩვენ რუსებისგან გლაზა და გლაზა რაღაცები, მაგრამ იმათ რომ ვერ გადაიღეს არაფერი ჩვენგან?! – უცნაურია, სწორედ“ [120].

რეფლექსიის საგანია ამა თუ იმ ქართული თუ უცხო სიტყვის მართლწერა: „რამ დამავიწყა ... ჭადის სახელიო ... თუ მჭადის ...“ [95]; „... ნახევარგამტარებში (ნეტა, ეს უკანასკნელი გამოთქმა ერთად თუ ცალ-ცალკე იწერება? მეზარება ამ ორთოგრაფიული ლექსიკონის ეს მერამდენედ შლა)“ [35]; „ამოტრიალებული ხელისგული (ერთად იწერება)“ [150]; „მაღაზიის შეუღლეწავ კარზე პლასტილინით (ნეტა ქართულად როგორაა? ალბათ ფლასტილინი...) მიკრულ-მიმაგრებული ბარათი“ [144]. ავტორი გემინირებული თანხმობის ტრანსლიტერაციაზეც აჩერებს მკითხველის ყურადღებას: „ჭაბუკი, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, ექსჭაბუკი დევდარი, მომგებიანია ხანდახან საერთაშორისო სუფ-აფიქსები, მაგრამ ანტენა და ნოველა რაღა უბედურებაა?“ [52-53].

გვხვდება დიალექტურ ფორმებზე მსჯელობაც:

– მგელი ადამიანს არ ერჩის.

– მომკალით ვინცხამ. – თუმც კი ხმადაბლა, და თუმც არ უღრიალნია ეს, მაგრამ აღელვებისაგან რომ ცოტათი გადაუხვია, ანუ დიალექტი რომ იხმარა, ნიშნავდა რაღაცას ეს. თუ ასე არა, აბა რომელი არაგურული ქართულია გვირისტული გამოთქმა „ვინცხა“ – ჰეი, მთარგმნელო, რაშიგან ხარ, ხარ კი ნამყოფი ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, მშობლიურად ვინცხაებთან დასავლეთ და არანაკლებ საქართველოში?“ [65].

აქ შევწყვიტოთ პოსტმოდერნისტული თამაში, რომელიც გურამ დოჩანაშვილმა მოიგონა. მწერლის გონებამახვილობა ამ გამომგონებლობამაც გამოავლინა, როცა ქართული ენის „რთული“ გრამატიკის გამეორება თამაშ-თამაშით ჩაგვატარებინა და თამაშში სარგებელიც გვაჩვენა ისე, რომ ბოლომდე მხოლოდ ვიცინოდით, „მზაკვრობას“ კი ვერ მივუხვდით ავტორს.

On Stylistic Extremism of Postmodernist Prose

Summary

The overall tendency of the trends discussed in the framework of modernism is the desire of the radical renewal of the language of the literature of classical realism. The feeling of creative crisis has created a general atmosphere that a certain epoch of culture has ended in which the humanitarian doctrine was dominated; a new system of philosophical-aesthetic ideas is being created with an unmanageable criticism of humanism and the ultimate refusal to the expression of feelings.

Guram Dochanashvili occupies a completely different position in our reality. We can say that it is a contraposition in contrast with other postmodernists. His prose is human and sympathetic filled with love of a mankind and God.

Not long ago, young and middle-aged writers appeared in Georgian literature that do not respect our culture, universally recognized values, desacralize the writers of the past and the literature itself (the delayed influence of the West).

We cannot find any cases in Guram Dochanashvili's poetry where the things that deserve to be respected are derided and humiliated.

Still, the main difference is that Guram Dochanashvili is a great writer, a talented innovator of literature. His stylistic extremism, delightful narrative, limitless imagination etc. make him a wizard of the Georgian fiction – this assessment is not exaggerated. We believe that the creator of many great works who is self-contained and original and has introduced a number of literary innovations in our literature, the author of the authentic linguistic construction deserves the highest degree of the axiological scale.

In the short novel „Michael and Two Others” by Guram Dochanashvili, the linguistic and quasilinguistic reflections that are organic parts of the present literary work are mostly related to the issues of the Georgian speech culture. The field of the problems is diverse and extensive. It covers the areas of phonetics, morphology, syntax, lexicology,

etymology and stylistics that are still topical and are the subjects of the linguistic research in terms of the normalization of the literary language.

We should especially note the remarkable invention of the writer – Guram Dochanashvili uses the forms and expressions of addressing for the narration. In this regard his inventive possibilities are really exhaustless. This is mostly referred to the passages related to “the Reader” and “Grammar of the Personified Georgian Language” that are characterized by the unusual and amusing narrative with the harmonious and delightful humor.